შეთანხმების აქტი

ქ. თბილისი 01 თებერვალი 2017წ.

ერთი მხრივ, **ერთის მხრივ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება - საარქივო სამმართველო** (ს/კ 245429610), მისი უფროსის, მაია ივანიშვილის სახით და მეორე მხრივ, შპს „ჯეოსელი" , წარმოდგენილი მისი კორპორაციული ბიზნეს ერთეულის დირექტორის მალხაზ ჟორჟიკაშვილის სახით, ვადასტურებთ, რომ ჩვენს შორის მიღწეულია შეთანხმება მასზედ, რომ მხარეთა შორის 2016 წლის 22 იანვარს დადებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ (**CON150000078**) №10 ხელშეკრულებაში შევიდეს შემდეგი ცვლილებები:

1. ხელშეკრულების მე-2 მუხლის 2.1. პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:
ხელშეკრულების საორიენტაციო ღირებულებაა 1800 (ათასრვაასი) ლარი.

2. ხელშეკრულების მე-4 მუხლის 4.2. პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:
4.2. **მომსახურების მიწოდება განხორციელდება 2016 წლის 01 თებერვლიდან 2017 წლის 1 მარტამდე.**

3. ხელშეკრულების მე-10 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:
ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2017 წლის 1 აპრილამდე.

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ზემოთხსენებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა პირობები რჩება უცვლელი.

წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ იდენტურ ეგზემპლიარად ქართულ ენაზე და წარმოადგენს მხარეთა შორის 2016 წლის 22 იანვარს დადებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ (**CON150000078**) №10 ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

შემსყიდველი:

აჭარის ა/რ მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება საარქივო სამმართველოს უფროსი

მაია ივანიშვილი

მიმწოდებელი:

კორპორაციული ბიზნეს ერთეულის დირექტორი

მალხაზ ჟორჟიკაშვილი

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება

საარქივო სამმართველო

384545 ბათუმი, ვ.გორგასალის ქ. № 126

ტელ: 27 52 10

N 01-24/60
01/02/2017

60--2-201702011219

შპს „ჯეოსელის“
კორპორაციული ბიზნეს ერთეულის დირექტორს
ბატონ მალხაზ ჟორჟიკაშვილს

ბატონო მალხაზ,

გთხოვთ, ფიჭური სატელეფონო მომსახურების 2016-2017 წლის კონსოლიდირებული ტენდერის სატენდერო კომისიის სხდომის ოქმი №2 შესაბამისად, ჩვენს ორგანიზაციებს შორის ფიჭური სატელეფონო მომსახურების 2016–2017 წლების კონსოლიდირებული ტენდერის (CON150000078) (შემდგომში - კონსოლიდირებული ტენდერი) შედეგად გაფორმებული ხელშეკრულება გაგვიგრძელოთ 2017 წლის 1 მარტამდე და ჩვენს ორგანიზაციაზე რიცხული ნომრები დაგვიტოვოთ ჩართული იგივე ჯგუფებში და ასარგებლოთ იგივე მომსახურებებით, ლიმიტებით და პაკეტებით, რითიც სარგებლობდნენ ზემოაღნიშნული ხელშეკრულების ფარგლებში.

აღნიშნულ პერიოდში ნომრებზე (გარდა არათანამშრომელთა ჯგუფის ნომრებისა) წარმოქმნილ დავალიანების დაფარვას უზრუნველყოფს ორგანიზაცია.

პატივისცემით,
მაია ივანიშვილი

სამმართველოს უფროსი

ხელმძღვანელობა

01.02.2017 წ.

ბ ა თ უ მ ი
შპს "ჯეოსელი"

შემსყიდველი ორგანიზაციების საყურადღებოდ!

როგორც მოგეხსენებათ, ფიჭური სატელეფონო მომსახურების 2016-2017 წლის კონსოლიდირებული ტენდერისა CON150000078 და შემსყიდველ ორგანიზაციებსა და გამარჯვებულ მიმწოდებლებს შორის გაფორმებული შესაბამისი შესყიდვის ხელშეკრულებების თანახმად, ფიჭური სატელეფონო მომსახურების გაწევა უნდა განხორციელდეს 2017 წლის 31 იანვრამდე.

2017-2018 წლის განმავლობაში ფიჭური სატელეფონო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით 2017 წლის 26 იანვარს გამოცხადდა კონსოლიდირებული ტენდერი, რომელშიც სატენდერო წინადადების მიღების დასრულების საბოლოო ვადად განისაზღვრა 2017 წლის 30 იანვარი. შესაძლებელია, შემჭიდროვებული ვადების გამო ზემოაღნიშნული ტენდერის ფარგლებში 2017 წლის 31 იანვრამდე ვერ მოესწროს გამარჯვებულ პრეტენდენტთან შესაბამისი შესყიდვის ხელშეკრულებების გაფორმება.

ფიჭური სატელეფონო მომსახურების უწყვეტობის აუცილებლობიდან და რაციონალური ხარჯვის პრინციპიდან გამომდინარე, კონსოლიდირებული ტენდერების სატენდერო კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს, შემსყიდველ ორგანიზაციებსა და **CON150000078** კონსოლიდირებულ ტენდერში გამარჯვებულ მიმწოდებლებს **(შპს „მაგთიკომი", შპს „ჯეოსელი")** შორის ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, კონსოლიდირებული ტენდერითა და შესაბამისი შესყიდვის ხელშეკრულებებით გათვალისწინებული მომსახურების მიწოდების ვადა გაგრძელდეს **2017** წლის **1** მარტამდე.